

საქართველოს კანონი

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების და დაბატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 32) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

ა) კანონის მე-3 მუხლს დაემატოს „ო“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ო) სამხედრო ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც ეხება უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების და სამხედრო აღჭურვილობის მიერ გრანზიტის (გარდა საწვრთნელი მიზნებისთვის შემადგენლობის გადაყვანისა) ან ღრობითი განლაგების მიზნით საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას (გარდა საწვრთნელი მიზნებისათვის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობით ტერიტორიის გამოყენებისა), შეიარაღებულ კონფლიქტებში ან სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს სამხედრო ძალების მონაწილეობას (გარდა ლოგისტიკური და ტექნიკური მხარდაჭერის მარეგულირებელი დებულებებისა).“

ბ) კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი